საპოლიტიკო, საეკონომიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 26 ივნისი 27 1899 წ. № 26

შინაარსი: ივანე მაჩაბელი ნ. ყორდანიასი.—სხვა და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—კგირიდან კვირამდე.—ნაწყვეტები, ლექსი თოფაშვილისა.—გამარჯვება!.—წერილი ბელგიიდან ლ. დ—სა.—ჭლექი.—ბებერი (ტურგენევიდან).—წერილები რედაქციის მიმართ.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ივანე მაჩაბელი.

ამ თვის 26 შესრულდა ერთი წელიწადი, მას შემდეგ რაც თ. ივანე მაჩაბელი დაიკარგა. ამ ხნის განმავლობაში ის ბევრი ეძიეს, მარა ვერსად ვერავითარი კვალი ვერ ნახეს. თავი მოიკლა? უცხოეთში გადაიხვეწა?—ეს და სხვა ასეთი კითხვები იბადებიან და ისევ კითხვებათ რჩებიან. საიდუმლოება მისი დაკარგვისა დღემდის ვერ გამოირკვა; სვე-ბედი დაკარგულისა დაბეჯითებით არავინ უწყის და ამ საგანზე ლაპარაკს აღარც ჩვენ გავაგრძელებთ. ჩვენთვის საკმარისია ის, რაც ყველამ იცის და რაც არავითარ საცილობელს არ წარმოადგენს, სახლდობრ: ი. მაჩაბელი დღეს ჩვენ შორის აღარ იმყოფება, ის მოცილდა, მოწყდა თავის საზოგადოებას, თავის ერს, თავის ქვეყანას. აი, ფაქტი და მისი სიჩუმით ჩატარება, უყურადღებობა და კალთის გადაფარება შეიძლება მომდინარეობდეს რაიმე ანგარიშებისაგან და არა საზოგადო საქმის სამსახურისაგან. ის ისეთი პატარა კაცი არ ყოფილა, რომ მისი გაქრობა ვერავინ შეამჩნიოს; ის ისეთი მოღვაწე არ ყოფილა, რომ მისი დაკლება არაფრათ ჩაეგდოთ. პირიქით, ამ უკანასკნელ 15 წელს არც ერთი საზოგადო საქმე არ დაწყებულა ისე, რომ მას მონაწილეობა არ მიეღოს. ის იყო ჟურნალისტი, მთარგმნელი, რედაქტორი, ბანკირი, წევრი საზოგადოებების და სხ. ერთი სიტყვით, ის მუდამ მოძრაობდა, მოქმედებდა და რასაც კი შეეხებოდა თავის ბეჭედს ასვამდა. და აი, ასეთ პირს წილათ ხვდა ტრაგიკული ბოლო... რა არის ამის მიზეზი? რით უნდა აეხსნათ ეს იშვიათი გარემოება? რატომ მოცილდა საზოგადოებას? რა მიუძღვნა მას საზოგადოებამ? ყველა ეს ღირსია პასუხის მიცემის და მკითხველის ყურადღებას დღეს აქეთკენ მივაქცევ.

მიზეზი ი. მაჩაბლის დაკარგვისა შეიძლება მრავალნაირი იყოს, მარა ყველა ეს უეჭველია ერთ საერთო ნიადაგზეა აღმოცენებული, ერთ სათავეშია თავმოყრილი. ეს სათავე გახლავს ჩვენებური საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი. ამ ასპარეზზე კაი ხანია გამეფდა ერთნაირი პარტიული ბრძოლა, რომლის მზგავსს ვერავითარ დაწინაურებულ ერში ვერ ვპოულობთ. ამ ბრძოლის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ის პირადი შურით და მტრობით გამოწვეულია. და ეს მტრობა მომდინარეობს არა საზოგადო საქმის სიყვარულისაგან, არამედ თავის ავტორიტეტის, თავის ბატონობის და უფროსობის დაცვისაგან. ოლონდ მე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ლაშქარი კი ვიყოთ მბრძანებელი და საქმე თუნდაც ერთ წერტილზე გაყინოსო—აი რას ელტვიან ესენი. აი აქ რა ზნეობა, რა პრინციპი გადმოიტანეს. ამ პრინციპის მატარებელი და განმახორციელებელია ერთი გაბატონებული ჯგუფი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ, თავის შეფის ოთახის პარტია, ანუ, პოლიტიკური ენით რომ ვთქვათ, კამარილა [1]).

ეს ხალხი გაბატონდა თითქმის ყველა ჩვენ საზოგადო დაწესებულებაში და, რასაკვირველია, მათთან ერთათ გაბატონდა მათი მორალი. კამარილას ერთათ ერთი მიზანია თავის უპირატესობის დაცვა, ხოლო ამის საშუალებაა, თავის უფროსისაგან ბრძანების მიღება და მისი ქვევით გადაცემა. ბრძანება შეფის და მიზანი მხლებლებისა სამაგალითოთ ეთანხმება ერთი მეორეს. ისინი ერთმანეთს ამაგრებენ, ერთმანერთში საჭიროებენ. პირველის აგენტი უკანასკნელია, უკანასკნელის მფარველი პირველია. ამიტომ ეს ოთახის პარტია ფხიზელი და ერთგული დარაჯია თავის უფროსის და, როგორც კი მის ეზოს ვინმე გარეშე მიუახლოვდება—ის მაშინვე ერთ აურ-ზაურს ატეხს და მთელ ლაშქარს ფეხზე დააყენებს. აი კამარილას მთელი მუშაობა. ვინც მათ რიცხვში ჩაეწერება და კამარილას ერთ უბრალო წევრათ გადაიქცევა, მოღვაწის სახელითაც მოინათლება და ყველგან დიდი სიამოვნებით მიიღება. მისთვის მოამზადებენ საუკეთესო ადგილს, მას დაუთმობენ ორგანოს ფურცელს. და ისიც შეუდგება ბრძანების ასრულებას - მისი მოშავლინებელის ქება-დიდებას და მოწინააღმდეგეთა კრულვა-წყევლას. მაგრამ, როგორც კი ამ საერთო ოროველაში განსხვავებულ ხმას შეაპარებს, თავის საკუთარ სიმებს ააჟღერებს, მაშინვე ის საეჭვო პირათ გამოცხადდება და კამარილას ზედამხედველობის ქვეშ დადგება. და რაც უფრო ის თავის პირადობას გამოიჩენს, თავის „მე“ ს განავითარებს, საკუთარი ფეხით სიარულს მოინდომებს, მით უფრო აღიჭურვებიან მის წინააღმდეგ და ბოლოს კეტებით ხელში მოედანზე გამოაგდებენ: არიქა, ვინ ხარ მარჯვე, დაჭკარით მაგასო და სანამ მას არ ჩაქოლავენ, ერთიანათ არ გაანადგურებენ, მანამდის არას გზ-თ არ მოეშვებიან. ასეთია კამარილას მტარვალობა, მიუკარებლობა, მოუთმენლობა და ამის მსხვერპლი ჩვენში არა ერთი და ორი გამხდარა. რამდენს კალამი ხელიდან გააგდებიეს, რამდენს საკუთარი აზროვნება გულში ჩაუკლეს, რამდენს საზოგადო საქმეზე ხელი ააღებიეს. მარა არც ერთ ამათგანს კამარილას დევნა ისე მკაცრათ და სასტიკათ არ განუცდია, როგორათაც განიცადა ივანე მაჩაბელმა. მაჩაბლის მთელი ცხოვრება—ეს კამარილას ზნე-ხასიათის საუკეთესო დახასიათებაა. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია მაჩაბლის ცხოვრების მოკლეთ მაინც გახსენება.

მაჩაბელი დიდხანს, ძალიან დიდხანს კამარილას ერთი წევრი იყო, წევრი ნიჭიერი და მომქმედი, მარა მაინც წევრი, უფროსის ბრძანების ქვეშ მყოფი. და აი, სანამდის ის ყურ-მოჭრილი ყმა იყო, მანამდის სახელოვანი კაცის ხმაც ჰქონდა. ბოლოს მან განიზრახა ამ ბოტონ-ყმობის მოსპობა და საკუთარ ფეხზე დადგომა. ეს თავის განზრახვანი მან პირველათ საბანკო ასპარეზზე გამოაფინა. ის ბანკის საქმეებში თანდათან გამოიცადა და გამგეობაში თავისი აზრის და პროექტების შეტანაც დაიწყო. ეს იწვევდა კამათს და უთანხმოებას გამგეობაში და ამან შემდეგ საზოგადო კრებებზედაც გადმოხეთქა. ეს საკმარისი იყო, რომ კამარილა აბობოქრებულიყო და ოთხივე კუთხით საყვირი დაეკრა: ამბოხებაა, აბა ერთგულო ქვეშევრდომნო, შეიარაღდითო. იშვ. ბანკის პარტიები და მათი გაუთავებელი ამბები. მოსალოდნელი იყო, ეს ბრძოლა, ბანკის ასპარეზზე ამტყდარი, ბანკის ასპარეზითვე განისაზღვრებოდა. თუ მაჩაბელი არ ვარგა, როგორც ბანკირი, განაძევე ბანკიდან, მორჩა და გათავდა. მარა კამარილა ასე არ ფიქრობს. ის ამბობს: ვინც მე ერთ საქმეში გამიბედავს წინააღმდეგობას, მას აღარსათ არ ვაბოგინებო. ასეთია დესპოტიზმის ბუნება და კამარილაც ხომ დესპოტთა უდესპოტესია. მაჩაბელი გინაძევეს არა მარტო ბანკისაგან, არამედ ყველა დანარჩენ დაწესებულებიდანაც, როგორც, მაგ. წერა-კით. საზ. გამგეობაა, სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტია და სხვ. მას ყოველი მხრიდან მუხრუჭი მოუჭირეს, სული შეუხუთეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, ნუ იშროომებ, ნუ იმოღვაწეობ. და ეს განა იმიტომ, რომ მას შრომა, სარგებლობის მოტანა არ შეეძლო? რასაკვირველია არა ამიტომ, თუ მას ათ წელიწადს შეეძლო წერა-კითხვის საზოგადოებისათვის ეშრომა, რატომ მეთერთმეტე წელიწადს არ შეეძლო და თუ არ შეაძლებიეს—ეს იმისთვის, რომ ასე სურდა უსაქმო და უშინაარსო კამარილას, ასეთი იყო ბრძანება მისი სარდლის. ცხადია, მაჩაბლის განდევნის მიზეზი იყო არა საზოგადო საქმე, არამედ პირადი მტრობა და შურის ძიება. საზოგადო საქმე, პირ იქით, სრულიადაც არ მოითხოვს მოწინააღმდეგის განადგურებას. ის ხშირათ ერთ ბს სხვა-და-სხვა პარტიის ხალხსაც და ერთ უღელში აბამს. რა არის ვალდებულ-ოფიციალური კაბინეტი თუ არა სხვა-და-სხვა პარტიების შეერთება

[1]) კამარილა ისპანიურად ნიშნავს ოთახს. აქედან, სასახლის პარტიებს, რომელთა მიზანი იყო თავის უფროსის უფლებების გაფართოება და ამის თავის სასარგებლოთ გამოყენება, დაერქვა კამარილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი საერთო საქმის დასაცავათ. ასე წარმოებს იქ, სადაც პარტიული ბრძოლა მართლა საქმიანია და არა პირადული. ჩვენებური კამარილა კი ყოველსავე ამას უარჰყოფს, ის ცნობს მხოლოთ თავის თავს, თავის ჭირს და თავმოყვარეობას. ის პარტიას ადგენს მხოლოთ იმიტომ, რომ ვისიმე შური იძიოს. ან მე და ან ისო ამბობს კამარილა და, დღემდის ყოველთვის ეს ინკვიზიტორული პრინციპი იმარჯვებს.

მაჩაბლის არც ერთი განდევნა ისე არ გვაცნობს კამარილას, როგორათაც მისი დრამატიული საზოგადოებისაგან განდევნა. 1892 წ. ის განაძევეს სკოლის კამიტეტისაგან, განაძევეს წ. კ. საზ. გამგეობისაგან. კაცი დარჩა უსაქმოთ, ხოლო საქმე, რამის კეთება მისთვის მიუცილებელი მოთხოვნილება იყო. ამიტომ ის იმავე წელს (31 მაისს) დრამატიული საზოგ. გამგეობაში წევრათ შევიდა. კამარილამ მაშინვე ყვირილი მორთო, არ დავანებოთ აქ მუშაობა, შორს აქედანო. ის მთელი თავისი ამალით გამოცხადდა დრამატ. საზოგადოების კრებაზე (4 ივნის) და 31 მაისის არჩევნების გაუქმება მოითხოვა. აი რა საბუთი წამოაყენა ერთმა მათგანმა: სამწუხაროთ უნდა აღვიარო, რომ წარსულ კრებაზე ჩემდა უნებლიეთ მონაწილეობა მივიღე და უფლება არა მქონდა თურმე. ამით დაირღვა წესდება და მაშასადამე წარსული არჩევნები უკანონოთ უნდა ჩაითვალოსო („ივ." 127), და კიდევაც ჩათვალეს. ხელმეორე არჩევანი დაინიშნა ერთ კვირას შემდეგ და კამარილამ აირჩია ისევ ძველი გამგეობა, გარდა ივ. მაჩაბლისა, რასაკვ რველია. (არ აურჩევიათ აგრეთვე ვ. სულხანიშვილი) ამით მიზანიც მიღწეული იქმნა. აქედან ნუ თუ ცხადი არ არის, რომ მთელი ეს ალიაქოთი ააყენეს მხოლოთ მაჩაბლის საწინააღმდეგოთ, მისი დრამატიული საზოგადოების გამგეობისაგან გამოსაგდებათ. და განა ამას მოითხოვდა ქართული ხელოვნების საქმე? რა ბძანებაა, ამას მოითხოვდა მხოლოთ კამარილას ჭირი და შურის ძიება. ასე გაშინჯეთ, 1895 წ. მაჩაბელი საძეურნეო ბანკის უბრალო წევრათაც არ მიიღეს, ისეთ წევრათ, როგორათაც ყველა ბაყალი და ყასაბია. რით უნდა აიხსნას ეს თუ არა იმავე შურის ძიებით! ნუ თუ აქ არის რაიმე პარტიობა, რაიმე ზნეობა და რიგიანობა? არა და ათასჯერ არა, აქ არის მხოლოთ ერთი პირის ამოჩემება, მისი მტრობა და დევნა; ეს არის აზიური მტარვალობა, საშუალო საუკუნისებური მიუკარებლობა და ინკვიზიტორული მსაჯულობა. ამას მიუმატეთ მისი მწერლობაში დევნა, დაცინვა და სამასხაროთ აღება, ჯიბრაელისებური გაუთავებელი ლაზღანდარობა და უმზგავსო ლანძღვა—გინება—და თქვენ მიიღებთ ნამდვილ სურათს ჩვენებური პარტიული ბრძოლისას. ეს ბრძოლა კი არაა, ეს სამარეა ყოველ გვარი საზოგადო მოღვაწეობის, საზოგადო საქმიანობის და წინ-მსვლელობისა. და ნუ თუ ამას ბოლო არ უნდა მოეღოს? ნუ თუ ეს სამარცხვინო ხელობა ერთხელ და სამუდამოთ არ უნდა დაიგმოს? დრო არის სამარიდან ფეხი ამოვიღოთ და ჯანმთელ საზოგადოებას დავემზგავსოთ....

ამ ნაირათ, ივანე მაჩაბელი გახდა მსხვერპლი ჩვენში გამეფებული უკულმართი ბრძოლისა. ის, პირადი შურის ძიებით და მტრობით, იძულებული გახადეს გაცლოდა საზოგადო სარბიელს, საზოგადო მოღვაწეობას. ის მოიწყვდა ოთხ კედელ შუა, მის და საზოგადოების შორის აიმართა მაღალი ზღუდე და მით, საქმიანობას მიჩვეული, მოიცვა უსაქმობამ, მოძრავი და მომქმედი დაატყვევა უძრაობამ და უმოქმედობამ, და ბოლოს რაღაგასაკვირველია ყველაფერზე გული გატეხოდა, ვერსად ხელ მოსაჭიდი ღერძი ვერ ეპოვა და საზოგადოებისაგან უარ ყოფილს უარი ეყო საზოგადოება...

ნ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ყორღანოვის ცხენის რკინის გზის მოსამსახურეთ ჯამაგირიდან ყოველ თვეს უჭერენ რამდენსამე პროცენტს, ხოლო რათ ან რის სასარგებლოთ მიდის ეს, არც ერთმა მოსამსახურემ არ იცის.

—

მას შემდეგ რაც კავკასიის ქალაქთა თვითმართველობის შესახებ ახალი განკარგულება გამოცხადდა, თფილისის საბჭოს ბევრმა ხმოსნებმა თავი დაანებეს. თავს ანებებენ განსაკუთრებით ოპოზიციონისტები, როგორც მაგ. ხუდადოვი, ევანგულოვი და სხ.

—

„კავკაზის" სიტყვით, პეტერბურღში ამ ჟამათ იხილავენ კითხვას, თუ როგორ შეიცვალოს ამიერ კავკასიის ქალაქთა დებულება, თანახმათ ადგილობრივი პირობებისას.

—

სენაკის სკოლის ინსპექტორათ დანიშნულია ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი თ. მთავრიშვილი.

—

სენაკის სკოლიდან დათხოვნილმა მასწავლებლებმა წ. კ. ს. გამგეობაში განცხადება შეიტანეს, რომლითაც ითხოვენ, წერილობით გვეცნოს საბუთი ჩვენი დათხოვნისაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

ამ თვის 29, ნაძალადევში გაიმართება პირველი სახალხო წარმოდგენა ახლათ გამართულ სცენაზე.

—

თფილისის „შუამავალის“ საზოგადო კრებას, რომელიც 20 ამ თვეს მოხდა, ამხანაგობის საქმე ცუდ მდგომარეობაში უცვნია და ამოურჩევია კომისია საქმის მოსაგვარებლათ.

—

„ახ. მიმ.“-ს წერენ სამტრედიიდან: ეს რამდენიმე დღეა სადგურთან იკრიბებიან დღიური მუშები, რომელნიც ნავთის საწყობს აშენებდენ და ქირას თხოულობენ. თვითოეულს ერგება 60 მ., ხოლო ვის მოთხოვონ არ იციან, რადგანაც მოიჯარადრე უგრეხელიძე ამბობს, მე რავქნა, მთავარ მოიჯარადრეს ტურკულას ფული ჯერ არ გადმოუციაო. ხოლო ტურკულას ვექილი ამბობს, უგრეხელიძემ უკვე მიიღო 3,000 მ. მეტი და ყოველივე ბრალი მას ედებაო. და ასე, მუშები, რომლებიც ყოველ კვირაში უნდა ღებულობდენ ანგარიშს, თვეობითაც ვერას ღებულობენ.

—

ამ დღებში მრავალმა იმერელმა მუშამ გაიარა თურმე კავკავში, რომელნიც გამომგზავრებულან ყანებში სამუშაოთ ყუბანის ოლქსა და სტავროპოლის გუბერნიაში. („ივ“.)

—

სოხუმის ქალაქის გამგეობის არჩევნები მთავრობას გაუუქმებია. ხელმეორე არჩევანი უნდა მოხდეს ამ დღეებში.

—

გურია-სამეგრელოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ გადადებულ იქმნას ფული სამრევლო სკოლების შესანახათ, სახელდობრ: მარტვილისა და სმეკალოვსკის სკოლების შესანახათ—ას-ასი მან., ოზურგეთის მაზრაში ორი საქალებო სამრევლო ორ-კლასიან სკოლის გასამართავათ და შესანახათ - 2,400 მან., და, გარდა ამისა, წიგნების საწყობის გასამართავათ, საიდგანაც მუქთათ უნდა მიეცეთ მოსწავლეთ და მასწავლებელთ სამოსწავლო ნივთები,—1,200 მან., და სასწავლებელთა საბჭოს კანცელარიისა და მის სამაზრო განყოფილებათა შესანახათ - 1,100 მან.

—

სოხუმის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს, შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას: 1, გუდაუთისა და კოდორის ნაწილთა სამრევლო სკოლების 10 მასწავლებლის შესანახათ —3000 მან., 2, ულარიბეს მოსწავლეთათვის სამოსწავლო ნივთების შესაძენათ— 600 მან., და 3, საბჭოს კანცელარიისა დ მის სამაზრო განყოფილებათა შესანახათ—1,400 მან.

—

„თფ. ფ“-ს ატყობინებენ, რომ პეტერბურღში არსდება კერძო საზოგადოება ადგილ-მამულების მოსარწყავათ კავკასიაში. საზოგადოებას განზრახვა აქვს გამართოს სარწყავი მოწყობილება თავის ხარჯით, იმ პირობით, რომ იმათ, ვინც წყლით ისარგებლებს, განსაზღვრული გარდასახადი გამოართვას.

—

რუსული ჟურნალი „Начало“ რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო შეუჩერებიათ.

—

ქუთაისიდან გვწერენ: 22 ივნის მოხდა შეერთებული სხდომა ქუთაისის მიხეილის ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტისა. იმათ დაადგინეს რაც შეიძლება ჩქარა მოიყვანონ სისრულეში საზოგადო კრების გადაწყვეტილებანი: უვადო გირავნობის ფურცლების გამოშვება, კონვერსიის მოხდენა, საკრედიტო რაიონის გაგანიერება მთელ კავკასიის აქეთა მხარეში, დაბებში და მაზრის ქალაქებში სესხის გაცემა, ვალუევის ადგილების დაგირავების ნებართვის აღება, დაფასების ახალი შემუშავებული და დამატებული ინსტრუქციის დამტკიცება და სხ. ყველა ამის ფინანსთა მინისტრთან წარდგენა დაევალა გამგეობას ორი კვირის განმავლობაში მოახდინოს.

—

„კვალის“ კორესპონდენციები.

ბ. ბათომი. არა ერთხელ და ორჯელ გვითქვამს, რომ თუ კი სადმე საჭიროა სახალხო ბიბლიოთეკა, საკვირაო სკოლა, სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენები, — ბათომშიაც საჭიროა, იმ ბათომში რომელიც სამრეწველო ქალაქია და რომელსაც მუშა ხალხი დღე-დღეზე ემატება. ეს მუშა ხალხი, ყოველივე გონებრივ საზრდოს მოკლებული, უქმე დღეებში რესტორან სამიკიტნოებს ვერ მოშორებია და იქ აგებს, როგორც მამასისხლათ ნაშოვნ ორ გროშს, ისე თავის ზნეობასაც; ყოველი ჭეშმარიტი გულ შემატკივარი ადამიანის ყურადღება უნდა მიიქციოს ამ გარემოებამ. ვისაც კი მართლა გული შეტკივა ბეჩავი ხალხის მდგომარეობაზე, ვისაც კი ცოტათ თუ ბევრათ ეინტერესება მათი გონებრივათ წინ წაწევა, ის ვალდებულია, შეძლებისა დაგვარათ, ხელი შეუწყოს კეთილ საქმეს, გამოძებნოს საშუალება, ხალხის გონების განვითარებისათვის, რამდენათაც მას დრო და გარემოება ხელს უწყობს. ამ გვარ ადამიანთაგან დაარსდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათომში საკვირაო სკოლა, სადაც კვირაში ოთხჯერ არის მეცადინეობა და სადაც ეგევე ადამიანები ასწავლიან. ყველასათვის ცხადია, თუ რიგიანათ დაყენებულ საკვირაო სკოლას რა სარგებლობის მოტანა შეუძლია. საკვირაო სკოლა — ეს პირველი ნაბიჯი იყო ბათომში სახალხო კეთილ საქმისაკენ. მოსალოდნელი იყო ამ სკოლაში მშრომელნი მარტო საკვირაო სკოლაზე არ შეჩერდებოდენ და მართლაც აღძრეს კითხვა იაფ-ფასიანი წარმოდგენების გამართვისათვის. საჭირო იყო თეატრის დაქირავება, ნებართვის აღება, სცენის მოყვარეთა მოწოდება წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებათ და სხვები. და ყველა ეს იკისრეს დებმა ქ.ქ, ევ. და ან. სოლორაშვილებმა. როგორც მოსალოდნელი იყო საქმე სანატრელათ დააგვირგვინეს. თეატრის პატრონი, რომელიც ჩვეულებრივათ თეატრში 60 მანეთს იხდევინება, 25 მანეთზე დაათანხმეს, აიღეს ნებართვა და კვირას, 20 ივნისს, წარმოადგინეს ალ. ყაზბეგის დრამა „არსენა“ და ვალ. გუნიას ვოდევილი „მონადირე“. წარმოდგენა საკვირაო სკოლის და მომავალ იაფ-ფასიან წარმოდგენების ხარჯებისთვის იყო. ბილეთების ფასი რაც შეიძლებოდა დააკლეს. მაგ., გალლერეია ღირდა 5 კაპ., ბალკონი 10 კ. ამფითეატრი 20 კ. და ამ გვარათ. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდენ „არსენაში“: ქ.ქ.-ნი ევ. და ან. სოლორაშვილები (პირველი სიდონია მეორე ნინო), ბ.ბ. ზ. ბესტაევაშვილი (გარსევან), ჭინჭარაძე (იორამი), მგელაძე (არსენა), მეგრელიძე (პეტრე), ტრ. რამიშვილი (ზაქარა და თედო) და სხ. „მონადირეში“: ქ-ნი ან. სოლორაშვილი, ბესტაევაშვილი და გრიგოლაშვილი. განსაკუთრებით კარგები იყვენ თავის როლებში ქ-ნი ან. სოლორაშვილი და ბესტაევაშვილი. დანარჩენებმაც კარგათ შეასრულეს თავისი როლები. წარმოდგენისა მაყურებელნი მეტის მეტათ კმაყოფილნი დარჩენ. თეატრი სულ გაჭედილი იყო ხალხით. ეს იმის ნიშანია, რომ იაფ-ფასიან სახალხო წარმოდგენებს ბათომში დიდი მომავალი აქვს. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ამდენ ხალხში ორ სამს ინტელიგენტს თუ მოჰკრავდი თვალს. თეატრი სავსე იყო ხელოსნებით და მუშებით. სიამოვნების ჟრუანტელი დაგივლიდათ, როდესაც ხედავდით ამ შრომის ხალხს ერთათ თავმოყრილს. მადლობას ვუძღვნიდით გულში მათ, ვინც ამ ხალხისათვის შრომობს, წარმოდგენებს მართავს, საკვირაო სკოლაში ასწავლის. დიახ, 20 ივნისი, ღირს შესანიშნავი დღეა ბათომის მუშებთა ცხოვრებაში; 20 ივნისი მაგალითია იმისი, რომ ბათუმში გაიღვიძა საზოგადო აზრმა, საზოგადო საქმემ. ამ მოთხოვნილებამ, ამ საზოგადო საქმემ ღირსეული წინამძღოლნიც იპოვა და ეს ოც ივნისმა დაგვანახვა. ვისურვებთ რომ იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენები ხშირ-ხშირათ გამართულიყოს; ვისურვებთ, რომ ეს დიადი საქმე გაძლიერებულიყოს და შესაფერ ნაყოფს რომ გამოიღებს, ეს ცხადზე უცხადესია.

X.

—

წებელდა. (აფხაზეთი) აქ ერთეიან ერთმანეთში კავკასიის ქედით გამომდინარე ჩხალტა და კოდორი. ამ მდინარეების მიდამოებზე არის შვენიერი სახელმწიფო ნაძვის და სოჭის ტყე, რომელიც ბ. მაქსიმოვს აქვს აღებული ხაზინიდან დასამუშავებლათ და პირობის ძალით უნდა გამოიტანოს ყოველ წლივ არა ნაკლებ 60 ათასი ხისა.

აი ამოდენა ხის მოჭრა, წყალში ჩაყრა და წყლით წაღება ზავოდამდის (ზავოდი მდებარეობს ს. აძვიბჯაში ზღვის ახლო) თხოულობს აუარებელ მუშა ხელს; და თუმცა აქ ახლო-მახლო არავინ არ ცხოვრობს, მაგრამ კაპიტალს აქაც თავისი დაღი დაუმჩნევია. მას ხმა მაღლა უთქვამს: „მოდით, ვისაც შრომა შეგიძლიათ, მე აქ ვარო“. ეს ხმა მოესმა მთელ იმერეთს: გურიას, სამეგრელოს, აფხაზეთს, სვანეთს და სხვებს. ყოველი მხრიდან დაძრულა შრომის მოყვარე მუშა და აუარებელი რიცხვი მუშისა ამ უდაბურ ტყეში მიუზიდავს. მაგრამ, დახე უბედურებას, მუშათა ხელი ხშირათ აღემატება მოთხოვნილებას და ეს უშრომლათ დარჩენილი მუშა იძულებული ხდება ან უკან დაბრუნდეს (80—90 ვერსი გზა ფეხით გაიაროს!) ან და დაუცადოს თავისივე ძმის უბედურ შემთხვევით ან რამე მიზეზით, მუშაობის თავის დანებებას, რომ იმისი ადგილი დაიჭიროს. ხის მოჭრა და წყალში ჩაყრა იჯარით არის გაცემული. მოიჯარადრეები, რასაკვირველია, ყოველღონისძიებას ხმარობენ რომ მუშის ხელ ფასი შეამოკლონ და ამის მისაღწევათ მას ხელს უწყობს უშრომლათ დარჩენილი მუშების კონკურენცია და თვით ადგილის მდებარეობაც. გასულ წელს ზავოდამდის ხის ჩატანაც იჯარით იყო გაცემული. არ შემიძლია დასურათება იმის თუ რა უკიდურეს მდგომარეობაში იყო ამითი მუშა! ხშირათ შევხვდებოდი, შემდეგ სურათს: საშინელი ქარ-ყინვის დროს მუშები წყალში წელამდის შეტოპილი მუშაობდენ როცა ველარ გაუძლებდენ სიცივეს, ამოვარდებოდენ ზევით. თვალს ვერ გაუმაგრებდით იმათ საცოდაობას: აკანკალებული, ტუჩებ-ჩალურჯებული, იხვივით ფეხებ დაწითლებული გაექანებოდა საწყალი და ცეცხლში ჩაყრიდა ხელ-ფეხს. ჯერ მუნჯივით გაჩუმდებოდა, მაგრამ როცა აჰქავდებოდა ხელ-ფეხი, დაიწყებდა ყვირილს; სულ ცრემლს აყრევინებდა; იწყევლიდა გაჩენის დღეს: ღმერთო, რისთვის გაგვაჩინეო. ამის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანა სიცოცხლეს სიკვდილი გვირჩევნიაო. ვერც კი მოასწრებდენ მოსულიერებას, რომ უფროსი მიუარდებოდა და ისევ საწყლებს წყალში ჩაყრიდა. ამნაირათ მომუშავე მუშათა უმეტესი ნაწილი უბინაობის გამო გარეთ რჩებოდა ღამის გასათევათ, და რა შედეგიც მოჰყვებოდა ადვილი მისახვედრია! მოიჯარადრების თავ-გასულობამ განხეთქილება ჩამოაგდო იმათ და მუშებს შუა: აჯანყდა მუშების გროვა და დააპირა თავის დანებება მუშაობაზე; მაგრამ მოიჯარადრეც არა უბრალო დიპლომატი იყო: მან თვალი აუხვია რამდენსამე მუშას იმით, რომ დაუნიშნა 34 მ. თვეში და შეპირდა საჭმელ სასმელი უფულოთ ეძლია. აპით საქმე გაიჩარხა. მუშები დააწყნარა ამ რამდენიმე მუშამ. მაგრამ სასტიკათ მოატყუვდენ საწყლები. გათავდა ხის მოტანა, გასწორდა მუშის ანგარიში და მაშინ კი შეამჩნიეს თვალ-ახვეულებმა, რომ თითოეულ მათგანს შეუჭამია თვეში 6 მან. პური!! ზავოდის ადმინისტრაცია თვალ-ყურს ადევნებდა მოიჯარადრების არა კაცობრიულ მოქცევას მუშისადმი და ერთხელ საქმე იქამდის მივიდა, რომ იმათზე მისაცემი ფული მუშებს დაურიკა. თუმცა-ღა ახლა იმაზე წერა გვიანღა, მაგრამ ეს კია, რომ გასული წლის 2/3 მუშა წელს არ კამოდგება სამუშაოთ, რადგან ივლისიდან 98 წ. 15 თებერ. 99 წ. წყალში მუშაობით გაუჩნდათ სხვა და სხვა სატკივრები (ხელ-ფეხში რევმატიზმი) და ბევრი კიდეც გამოესალმა სიცოცხლეს.

წელს ზავოდმა თვით იკისრა ხის წაღება წყლით და იმედი გვაქვს, იზრუნებს მუშის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათაც. მხოლოთ პირველი ყურადღება უნდა მიექცეს მუშისთვის ბინის გაკეთებას, სადაც საჭირო აღმოჩნდება წებელდიდან-ზავოდამდე. აგრეთვე უნდა იზრუნონ მუშისთვის წამლები თან იქონიონ ყოველგან, სადაც მუშები დიდხანს რჩებიან, რომ გაჭირვების დროს პირველი შემწეობა მაინც აღმოუჩინონ ავათმყოფს. ამასთანავე საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას რომ, სასმელ-საჭმელს მუშა შოულობდეს ყოველ დღე და რიგიან ფასში. ჯერ-ჯერობით ისინი იძულებულნი არიან ორი წილი ფასი იხადონ, რადგან ახლო ვერ შეუღობენ და ხშირათ მშიერიც რჩებიან. დღეს თავ და თავ საჭიროებას შეადგენს მუშათა დაზღვევა.

აქ ყოველ დღე, ყოველ საათს ელის მუშა უბედურებას, მაგრამ რადგან მისი ოჯახის ეკონომიური მხარე ძალიან ვიწრო დონეზე დგას — იძულებული ხდება არ დაერიდოს არავითარ საშიშს, და ხშირათ თავსაც გადაატანს ხოლმე. აქ, როგორც ხის მოჭრის და წყალში ჩაყრის — აგრეთვე წყლით წაღების დროს ზავოდამდის, მუშის დამარცხება და სიკვდილი ჩვეულებრივი მოვლენაა.

ატ—ატი,

—

ს. ჯუმათი (გურია). ჯუმათის მონასტრიდან რომ სამხრეთ დასავლეთისკენ გადაიხედოთ, დაინახავთ სოფელ ჯუმათს. ადგილმდებარეობა აქ მთა-გორიანია; მხოლოთ მდინარე სუფსის ნაპირებზე, რომელიც ამ სოფელს სამხრეთით ჩამოუდის, სწორი სახნავ-სათესი მიწებია. ეს მდინარე ზაფხულობით წვიმების დროს ადიდდება ხოლმე, ნაპირებიდან გადადის, მაგრამ საბედნიეროთ ზარალის მაგიერ მიწებს ლეკავს და ანოყიერებს. შედარებით სარგებელს მეტს აძლევს ეს მდინარე მცხოვრებთ ვიდრე ზარალს. აქედან გააქვთ ნავებით სიმინდი გრიგოლეთში გასაყიდათ. აქვე იჭერენ თევზებს, ზოგს ჰყიდიან ოზურგეთში და ზოგს თვითონვე ხმარობენ საჭმელათ. ამნაირათ, ჯუმათიდან გადის ორი გზა: გრიგოლეთში წყლით, და ოზურგეთში ხმელეთით, სხვა მხრით გასატანი არ არის. გაზეთებში შეხვდებით წერილებს ჯუმათიდან, მაგრამ ეს ჯუმათი რკინის გზის სადგურია — შუა ჯუმათი კი განზეა მიტოვებული; იქიდან არაფერი არ არის. მცხოვრებლები ვერ მოშორებიან სიმინდის თესვას, რომლისგანაც გამოელიან: გადასახადის გადახდას, ვალის გასწორებას, ტირილ-ქორწინების მოშორებას, ტან-ფეხის დაფარვას. მაგრამ მიწის მუშაობის უცოდინარობის და სიმინდის ფასის დავარდნის გამო ფული სოფელშივე ძნელი საშოვნელი ხდება, საწყალ მუშას იმედები უცრუვდება, იძულებული ხდება ცოლშვილი, ოჯახი მიატოვოს და თუ შორეულს არა ახლო მდებარე ქალაქის ქარხანაში თავი ამოჰყოს. ეს ახლო მდებარე ქალაქი ბათომია, მაგრამ არც აქედან გამოდის რამე. ბათომელ მუშებისა არ იყოს, „ზავოდში ნაშოვნი ფული ტუნელს არ გაშორდებაო“, ამ ფულის მძებარსაც ასე ემართება და ცალიერ-ტარიელი ბრუნდება სახლში. ცხადია პირველი მიზეზი ამგვარა გაჭირვებული ცხოვრებისა უცოდინარობა და უგზოუკლობაა. თუ ესენი არა, ასეთ ბუნებისაგან დაჯილდოვებულ სოფლის მცხოვრებთ, როგორიც ჯუმათია რამე უნდა აკლდეს? აქ შეიძლება კარგ ნიადაგზე დააყენოს მცოდნემ: მევენახეობა, მეთუთუნეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა და სხვა, მაგრამ ჯერ ამაებს თავი დავანებოთ. გზები საზოგადოთ ცუდ მდგომარეობაშია, ასე რომ ტალახის გამო საყდარზე გასვლა ხშირათ შეუძლებელი ხდება. რაც შეეხება სკოლას, ვერც ის არის კარგ დონეზე დაყენებული, ძალიან ნელი ბიჯით მიდის წინ. დიდი ხანია რაც აქ ერთ კლასიანი სასოფლო (ეხლა ერთ კლასიანი სამინისტრო) სკოლა არსებობს. სკოლის შენობა იყო დაბალი, პატარა და ბნელი. შაგირდების საჯდომი სკამები იყო გძელი, რომელზედაც ათი-თორმეტი მოწაფე თავისუფლათ თავსდებოდა, სკოლის დავა ორი

ფიცრისაგან იყო შეკერილი, სანახევროთ შეღებილი და კედელზე მიყუდებული. მასწავლებელ ვლ. კა—კის მოღვაწეობით და სხვების დახმარებით შეუდგენ ყველა ამეების გამოცვლას და მზათაც იყო საქმე, მარა საუბედუროთ ბ. კა—კი გადაიყვანეს, მისი მოადგილეც მალე გაუდგა გზას, მესამეც ზედ მიჰყვა და სანახევროთ მიძინებულ-მიეიწყებულ საქმე განხორციელდა მასწ. კ. ქაჯაიას დროს 1892 წელს. ააგეს ახალი შენობა, მოაწყვეს ყველაფერით. სკოლას ახალი ელფერი დაეტყო, მაგრამ საუბედუროთ პატიცემული კ. ქაჯაია, რომელიც სინიდისიერათ ასრულებდა თავის დანიშნულებას, სამი წლის სამსახურის შემდეგ გადაყვანილ იქმნა. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჯუმათის სკოლამ სამი მასწავლებელი გამოიცვალა ზედიზედ. ახლანდელ მასწავლებლის ბ. გაბეჩიას წინამოადგილემ, ვ. თუთფერიძემ აღძრა კითხვა მთავრობის წინაშე და ჩააგონა ხალხს კიდეც სკოლის ორკლასიანათ გადაკეთების და წიგნთსაცავსამკითხველოს დაარსების საჭიროება. როგორც თვითონ ამბობდა ფულის შეკრებაც დაიწყო ამ საქმის სისრულეში მოსაყვანათ, მაგრამ რაღაც უცებ მიატოვა ჯუმათი და სხვაგან გადავიდა. იმედი ბ. გაბეჩია იშრომებს, სხვების დახმარებით რასაკვირველია, აღძრული კითხვების სისრულეში მოსაყვანათ და სკოლას მეორე ბიჯს გადაადგმევინებს წინ.

ა. ჯაშელი.

კვირიდან კვირამდე

ბატრუებული იმედი — იაფი უფროსი — ერთობა! — საქმიანი საბჭო — ბრწყინვალეთა მოდვაწეობა — „სასეფოვანი“ იუბილეები — თავის ქება.

ვერაფერი ძლიერება გამოიჩინა ქუთაისის ინტელიგენტურ საბჭომ. არჩევანის დროს იქაური ლიბერალები ძალიან ყვიროდენ, აგვირჩიეთ ხმოსნებათ, აგვირჩიეთო. ის იყო აირჩიეს და მერე რა გამოვიდა? არაფერი, ეს ახლებიც ი'ე ზანტობენ, როგორც ძველები. ესენი არიან და არიან ხმოსნათ, რომლის მოვალეობაა კრებაზე მოსელა, „რეჩების“ წარმოთქმა და ასე ნასიამოვნები შინ წასელა. ერთი სიტყვით, საბჭოს დარბაზი დროს გასატარებელ დარბაზათ გადაიქცა. მართალია, ქალაქს საქმეები ბევრი აქვს, მარა ისინი ამას თავს ვერ ართმევენ და სხვებს, გარეშე ხალხს იწვევენ, ეგების თქვენ უკეთ გაართვათ თავიო. მხოლოთ ერთხელ, ამ რამდენისამე ხნის წინეთ, უცაბედათ გადაწყვიტეს: მოდი ერთი ჩვენც ვისაქმოთ და ჯერ-ჯერობით ქალაქს მილით წყალი გამოვუყვანოთო. მარა ჩქარა სინანულში შესულან და ამ კვირეში თავისი წინანდელი განაჩენი გაუუქმებიათ, ისევ მოიჯარადრეს მივანდოთ ამ საქმის წარმოებაო... სამაგიეროთ, ძაღლების დახოცვის თავდარიგს შედგომიან და ბოლოს აქედანაც არა გამოსულარა გარდა იმისა, რომ ქალაქს ძაღლების ერთი შესანიშნავი გალია დარჩენია, ხოლო გალიის ტყვეები კი ისევ არხეინათ დასეირნობენ ქუჩებზე. არა, ვითომ და რაღა მარტო ამ ადამიანთა მეგობრების განადგურებაში გამოიჩინეს ამოდენა მუყაითობა...

***

ქუთაისი მარტო თავის საბჭოთი არ არის განთქმული, აქ კიდევ უფრო სახელოვანია ბულვარში მოსეირნე და სამიკიტნოებში მოქეიფე ახალგაზდები. ამათ თავ-გასულობას და საგმირო ამბებს რომ არა აქვს დასასრული ეს ყველამ იცის, მარა ის, რაც სამმა რაინდმა ჩაიდინა—სწორეთ ქუთათურებსაც კი გააცვიფრებდა. აბა ერთი მითხარით, ვის არ შეურაცხყოფს ქალების აბანოს კარის ჩამტვრევა და შიგ მამაკაცების შევარდნა. აი ეს მოიმოქმედეს 13 აპრილს სულ ბრწყინვალე თავადებმა. ესენია: დადეშქელიანი, შარვაშიძე და ფაღავა—ამათზე უბრწყინვალესი იმერეთის ისტორიას არ შეუქმნია... ამათ ჯერ კარგა გადაუკრავთ, მერე აბანოსკენ გაქანებულან და ერთ მათგანს ქალების განყოფილებაში შეუხეთქია, ხოლო ორი კი კარებთან გაჩერებულან. აბა წარმოიდგინეთ ახლა ქალების მდგომარეობა, ზოგს შიშისაგან გულიც წასელია. ბოლოს როგორც იყო ეს ახალ მოდის რაინდი, პოლიციის შიშით თუ სირცხვილით, ისევ თავის ამხანაგთ გარეთ გამოუყვანიათ და ამ დროს ეზოში პრისტავიც შეჯახებია. პრისტავისთვის ერთი-ორი ძველებურათ გაურტყამთ და არხეინათ შინისკენ წასულან. პრისტავმა ეს თავის გამრტყმელნი (ორნი) სამართალში მისცა, როგორც მთავრობის კაცის შეურაცხმყოფელნი, ხოლო მესამე, თ. შარვაშიძე, რომელმაც ქალების აბანოში შევარდნით, საზოგადო ზნეობა შეურაცხყო, შეურაცხმყოფელათ არ უცვნია და არც სამართალში მიუცია! აი რა ახირებული წარმოდგენა ჰქონებია ქუთაისის პრისტავს არ'ენიევს დანაშაულობაზე! და ეს უეჭველია იმიტომ, რომ ნათქვამია ჯერ თავ და თავიო. ოლქის სასამართლომ პრისტავის შეურაცხმყოფელნი სასტიკათ დასაჯა, ორიევს აართვა ღირსება და ციმბირში გადაასახლა.

***

მარა ამასთანავე, სამსჯავროში ზოგ არა-რაინდთა რაინდული ამბებიც გამოირკვა. ცნობილი ადვოკატი



ᲡᲐᲚᲝᲪᲐᲕᲨᲘ

ფალავა და კიდევ უფრო ცნობილი ჩიკვაიძე ერთობ ნიშნობლივათ დაახასიათეს. აი რა თქვა ამათ შესახებ მოწმემ, „ოკოლოდოჩნიკმა“ ბახტაძემ: პოლიციის განყოფილებაში მოვიდენ ნაფიცი ვექილნი კ. ჩიკვაიძე და მ. ფალავა და იკითხეს პრისტავი არსენიევი, რატომ სურდათ მისი ნახვა არ ვიცი, მარა ქალაქში კი ხმა გავრცელდა, მოწმეების მოყიდვა მოინდომესო. თითონ არსენიევმა აჩვენა: როგორც ბახტაძემ თქვა, ჩემთან მოვიდენ ორივე ვექილი, და მათ მოჰყვა ვილაც ჯვარიანი კაცი, მე პოლიციაში არ ვიყავი: ბახტაძეს შეაძლიეს 500 მ. ხოლო მე 2,000 მ. მეორე დღეს, როცა პოლიციაში ვიყავი, ხელმეორეთ მოვიდენ ჩიკვაიძე და ფალავა, გაიხმეს ბახტაძე, რაღასაც ელაპარაკენ და ბახტაძემ, დაბრუნებულმა, გადმომცა, რომ ისინი 500 მ. მას უმატებენ, ხოლო მე 1000 მ. ე. ი. ის მიიღებს 1000 მ. და მე 3,000 მ. — ერთი სიტყვით ეს ორი ვექილნი არაფერს არ დარიდებიან მტუანრს გასამართლებლათ და მართლის გასამტყუნებლათ. აი რა ზნეობრივი ავლა დიდებს ყოფილან ქუთათური „სახელოვანი“ იურისტები..

* * *

ახლა პუბლიცისტებს არ იკითხავთ? ქუთაისის პუბლიცისტიკა მთლათ ერთიანათ ოპოზიციის კალმიდან გამოდის. მას ორი იშვიათი თვისება სჭირს: იწყებს თავის თავის ქებით და ათავებს კიდევ ქებითვე, ეს ერთი; ხოლო მეორე ის არის, რომ გაზაფხულზე, მაისში, წამოჰყობს ხოლმე თავს და ბანკის გარშემო ტრიალებს; როგორც კი გათავდება ბანკის კრებები-გათავდება პუბლიცისტიკაც. და აი ბ. მაიშვილმაც გამოინავარდა „ახ. მიმ.“ ფურცლებზე ᲠᲔ ქვეყანას აუწყებს იმას რაც კაი ხანია ნაუწყები აქვს: ბანკის კრება მოხდა, ჩიკვაიძე გათეთრდა და სხ. ამისთანაები და ეს რომ ეკმარებია, კიდევ არა უშავდა რა, როგორც იქნებოდა გავიმეორებდით ამ ამბავს, რომ არ დაგვიწყებოდა. მარა ბ. მაიაშვილი რის ოპოზიციონისტია, თუ ოპოზიციის წერის მეტოდს ულალატა, და აი ის ერთ ფელეტონს თავის პარტიის (ე. ი. თავის თავის) ქებას უძღვნის. იწყება იმით, რომ ამისთანა ბანკის კრება ჯერ არ ყოფილა ქუთაისშიო და ეს სულ წარმომადგენლობის ნაყოფიაო. (ესეც თავის ქება) ამის თქმა შეუძლია მხოლოთ იმას, რომელმაც ქუთაისის ბანკის კრებების ისტორია სრულებით არ იცის და სახეში აქვს მხოლოთ ორი უკანასკნელი საგმირო კრება. ამა ერთი მითხარით, ნუ თუ ის კრება კრებათ ჩაითვლება, რომელმაც ერთი ფინანსების მცოდნე ორატორიც კი ვერ წამოაყენა და ისევ პედაგოგს მიმართა? ქუთაისის ოპოზიციის მეთაური იყო თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი! გარდა ერთი-ორი პირის ლაპარაკისა, მთელი დანარჩენი „ყოველ მხრივი და საქმიანი განსჯა“ იყო ერთი გაუთავებელი წყალის ნაყვა და მეტი არაფერი; გაზეთების მკითხველებმა ასეთი შთაბეჭდილება გამოვატანეთ და თუ მაინც სახელოვანი კრება იყო ეს, მაშ ბანკშივე შეუნახავთ და იმედია აწი მაინც გამოაქვეყნებენ. მარა, არა, წლევანდელი კრების არარაობა ყველამ იცის, და თუ მაინც მისი ქება იყო საჭირო - ეს იმიტომ რომ ოპოზიციონისტის ხელობა ეს არის. ამით რასაკვირველია, არ დაკმაყოფილდა ბ. მაიაშვილი და ზედ კიდევ უფრო გახაშტერებელი თავის ქება მიაყოლა. ოპოზიცია კი არ დამარცხებულა, როგორც ბევრს ჰგონიათო, არა, მან „დიდი და საგრძნობელი გამარჯვება“ ირგუნაო! ბრძოლის ველიდან გაქცევა თუ გამარჯვება იყო — ეს დღემდის არავის ეგონა გარდა ბ. მაიაშვილისა. ჩვენი მიზანი ბანკის მართველის ამორჩევა არ ყოფილაო — განაგრძობს ავტორი. მაშ რა იყო მიზანი? ლაპარაკი? იბრძოდათ იმიტომ, რომ იბრძოლოთ? ნუ თუ ამ დონკიხოტობამდის მივიდა ოპოზიცია? ჩვენ კი არა გვჯერა. ეს ბ. მაიაშვილის ფანტაზიის ნაყოფია და თავის პარტიის ნაკლები ქება და მეტი პატივისცემა რომ ექნებოდეს უკეთესია... დიახ, გამგეობის პარტია მებრალება, რომელსაც მეთაურათ ასეთი „სახელოვანი“ იურისტი ჰყავს, მარა ამასთანავე კიდევ უფრო მებრალება ოპოზიცია, რომელსაც გზის მაჩვენებლათ ასეთი საკვირველი პუბლიცისტი ჰყავს..,



ნაწყვეტები.

IV.

ᲙᲐᲥᲠᲘᲡ ᲡᲘᲝ ᲜᲔᲚᲘ,
ᲑᲘᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲕᲔᲚᲘ,
ᲗᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲒᲕᲥᲗᲥᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝᲒᲚᲘᲗ
ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ,
ᲙᲘᲛᲙᲘᲛᲘᲡ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ,
ᲓᲐ ᲐᲠᲔ-ᲛᲐᲠᲔ
ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲜᲐᲑᲐᲖᲘ ᲒᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲔᲑᲣᲚᲘ!

—

ᲩᲣ! ᲡᲢᲘᲕᲘᲡ ᲑᲣᲚᲑᲣᲚᲘ,
ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲠᲔᲙᲡ ᲒᲣᲚᲘ
ᲓᲐ ᲘᲝᲠᲒᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ...

ᲢᲣᲠᲒᲘᲗ ᲜᲐᲖᲐᲠᲘ

ჰკლდუტობს ვარდი
და აკმევს გუნდრუკ სუნნელებსა!..

—

მეც, ვნება-შლილი
ადამის შვილი,
სოფლიურ ზრუნვით აბორგებული,
ერთიან მთელათ
ქვეყნის სათელათ,
აქ მაკ წერტილათ დაბადებული,

—

ყურს ვუგდებ რიდით
კრძალვითა დიდით
ბუნების დიად საიდუმლობას
და შიგ ვჭვრეტ ღვთის ხატს,
არსით დანახატს
და მორს მივყევარ იდუმალ გრძნობას!.

—

წინ მიჯხტის გული
აჩქროლებული,
ვეღარ ეტევა ბუდეში მარტო!
მე მას ვეღარ ვძლევ! —
თვითონ მხარს გაძლევს,
მსურს სარბიელი ვრცელი და ფართო!..

—

და მაღლა ზენას
ვედრი შეწევნას, —
ხელი გამიწყოს და მომეშველოს, —
მქონას ნაკვერცხალათ,
და დამწვას ძალათ,
რომ კაცის ცივ გულს რამე ეშველოს!..

—

ან მომცეს ნება,
ხელ მძღვანი მცნება
და მასთან ერთათ შუბი საგმირო,
რომ კაცის გული,
აზვირთებული
მურით და მტრობით, მითი გავგმირო!..

—

რომ კაცად-კაცადს,
ჯირ-ვარამ ნაცადს,
თვის ნაოფლარი მოვათხოვინო
და თავ-ადებულს
კაცს გალაღებულს
თავის ძმის სისხლი არ გაწოვინო!..

—

მადლი ვამეფო,
შევქმნა სამეფო
უდიდეს მცნების, — სიყვარულისა,
ძმობის, ერთობის,
თანასწორობის,
ტკბილ-სანეტარო სისარულისა!..

—

ეს არის ჩვენი!..
და დანარჩენი
დეე მოისპოს და წაიშალოს,
რომ იფქლთან ერთათ
კავშირ-მაერთათ
ღვარძლის შტოები არ გაიშალოს!..

—

ვთხოვ-მამამაცობს,
ზე აღმიტაცობს,
რომ ამოვწყვიტო ამოსაწყვეტი!..
მას ჭიმი ავდვა
და ქვეყნათ მოვდვა
ეს ჩემი გულის ჩამონაწყვეტი!!..

დ. თომაშვილი.

გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა.

სიმართლე, დიდ ხანს დევნილი და დაჩაგრული, აღადგა. ჭეშმარიტებამ, ისე აშკარათ შეურაცხყოფილმა და უარყოფილმა, თავისი გაიტანა. სენაკის სკოლის ინსპექტორი დაძრულ იქმნა თავის ადგილიდან სენაკის სკოლა ჩაყენებულ იქმნა ნორმალურ მდგომარეობაში. ცხადია, გამგეობას უცვნია ინსპექტორის უკანონობა, რასაც ჩვენ ისე ხმა მაღლა ვამხილებდით; ცხადია, გამგეობას დაუნახავს სკოლის საქმის არეულ-დარეულობა, რასაც ასე გამუდმებით ვამტკიცებდით. მაშ რატომ მაშინვე არ მიიღო ზომები? მაშ რატომ მაშინ მოიყრუა ყური? რატომ დაუკარგა სკოლას ტყუილ-უბრალოთ ორი წელიწადი? რატომ იბრძოდა ის ასეთი ნათელი საქმის წინააღმდეგ? ნუ თუ ეს იმიტომ რომ სენაკის ნამდვილი ამბავი ვერ გაეგო? რა ბრძანებაა, განა შეიძლება იმაზე უფრო აშკარა და ნამდვილი, როგორიც გამოაშკარავებული და გამგეობის საქმეში ჩაკერებული ის იყო? არა, პირ-იქით, სწორეთ ამ სინამდვილეს აფარებდენ ხელს, სწორეთ ცხადზე უცხადესს აბნელებდენ, მარა მუდამ ხომ არ შეიძლება სინათლესთან ბრძოლა, მუდამ ხომ არ შეიძლება ჭეშმარიტების დათრგუნვა, ადრე თუ გვიან ის უნდა გამოცხადდეს დ მოწინააღმდეგეთაც თავის ძალა შეაგნებიოს...

დის, სენაკის სკოლის ინსპექტორი გადაიყვანეს, მარა იმან დიდი მსხვერპლი მოითხოვა, ამან თან მოიტანა ცხრა კაცი, ცხრა მასწავლებელი! ოთხი დაბალ ადგილებზე გადაიყვანეს, ხოლო ხუთი კი სულ უადგილოთ დატოვეს. აი ამდენი კაცი ცოლ-შვილიანათ, შესწირა გამგეობამ ბ. ყიფიანს. ცხრა მასწავლებელი ერთ ინსპექტორს! და განა ამაზე მეტი მსხვერპლი ასე პატარა საქმისთვის კიდევ შეიძლება? მარა რომელი საქმე არ ითხოვს მსხვერპლს? დიე, მასწავლებლებმა ინუგეშონ თავი იმით, რომ თვით საქმემ გაიმარჯვა, და გაიმარჯვა მათი მეოხებით, მათი თაოსნობით და შემწეობით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი მზათ იყვენ და არიან თავის კერძო ინტერესები, თავისი პირადი სარგებლობა ანაცვალონ საზოგადო ინტერესს, საზოგადო სარგებლობას. ეს საკმაოთ დაამტკიცეს თავისი უანგარო მოქმედებით, თავისი მოქალაქობრივი პირდაპირობით და თავდადებით. და ამასთანავე ნუ დავივიწყებთ იმათაც, რომელნიც ყოველივე მოქალაქობრივ თვისებას ძირშივე სწირიან, უანგარო თავის დადებას სასტიკათ სჯიან, მეტ სინათლეს ებრძვიან და პატრონ-ყმობისაკენ გვერეკებიან. ერთი ასეთი გამარჯვებაც და ისინი არხივში გადალაგდებიან... რაც შეეხება სენაკის სკოლას, ჩვენ მას, ახალი მართველის ხელში, ვუსურვებთ ყოველივე წარმატებას და თავის დანიშნულების პირნათლათ ასრულებას.

წერილი ბელგიიდან.

ბელგია ტიპიური ევროპიული ქვეყანაა. მიუხედავათ თავის სიპატარავისა ეს ყოველთვის და ყველაფერში მხარ და მხარ მისდევს ევროპის სხვა სახელმწიფოებს. მაგ. თუ სხვაგან მედგრათ იბრძვიან პოლიტიკური უფლებების გაფართოებისათვის, არც აქ არიან გულ-ხელ დაკრეფილნი. აქაც, როგორც სხვაგან, მეტათ მწვავეა, მეტათ სასტიკია კლასსიური ბრძოლა. ენერგიულათ მოქმედებს ახლათ წელში გამართული მუშა ხალხი, მაგრამ არა სძინავს არც ბურჟუაზიას. მას დიდი ხანია გაუკრთა ძილი და დღეს აღარც კი იცის რასა ჰქვიან მოსვენება. ეს იმიტომ, რომ აქ საზოგადობრივი ცხოვრება არასოდეს არ არის დაწყნარებული, დამდორებული. ის მუდამ ღელავს და ხანდასმით კი შორს ტყორცნის თავის აზვირთებულ ტალღებს.

ბელგია ამ ჟამათ ჩვეულებრივზე უფრო მეტათ არის ამოძრავებული და გაცხოველებული. მოძრაობა-მღელვარება იწყება პარლამენტიდან და თავდება ქუჩებში. ყველა კუთხეში, ყველა ქალაქებში და განსაკუთრებით კი ბრიუსელში, რომელიც გულია ამ ქვეყნისა, გაცხარებული აგიტაციაა ატეხილი. ყავახანებში, სადაც ყოველ საღამოს მრავლათ იკრიბება ხალხი, ბრძოლაში გაწვრთნილ-გაალმასებული ორატორები ერთმანეთს ეცილებიან, რომ რაც შეიძლება უფრო მკვახე სიტყვებით დაჰგმონ ბელგიის რეაქციონული, კლერიკალი მთავრობა. ქუჩებში ბაირაღებით და მუსიკით დასეირნობს აღარებელი ხალხი. მღერიან შესაფერ სიმღერებს და ხმა მაღლა გაიძახიან: „გაუმარჯოს საერთო, საყოველთაო, საარჩევნო უფლებასო!"

უახლოებლესი საბაბი დღევანდელი მოძრაობისა მომდინარეობს თვით მთავრობიდან, რომელმაც თავის საუბედუროთ ამას წინათ შეიმუშავა ერთი საარჩევნო კანონ-პროექტი. ვინემ ამ პროექტზე ვიტყოდეთ რასმე, მეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა ვთქვათ საზოგადოთ ბელგიის პოლიტიკურ პარტიებზე.

1831 წ. შემდეგ, როცა ბელგია განშორდა ჰოლლანდიას და თავის თავი დამოუკიდებელ სამეფოთ გამოაცხადა, აქ არსებობს პარლამენტარული რეჟიმი, ქვეყანას განაგებენ ხალხის წარმომადგენელნი: დეპუტატთა პალატა და სენატი. უმრავლესობა ორივე პალატაში, ეკუთვნის კლერიკალურ პარტიას. ეს კონსერვატიულ-რეაქციონული პარტია ხშირათ ლაპარაკობს სარწმუნოებაზე, მარა ნამდვილათ კი იცავს სხვილი მემამულეების და სხვილი კაპიტალისტების ინტერესებს. ის უფრო ღონიერათ გრძნობს თავის თავს აგრარიულ პროვინციებში, (როგორიც არის დასავლეთის და აღმოსავლეთის ფლანდრია,) სადაც უკანასკნელ ღონეს ხმარობს და იცავს უკვე საკმაოთ შერყეულ ხალხის რელიგიურ ფანატიზმს და უმეცრებას, ბოლო ხანებამდის ამ პარტიის ერთათ ერთ და უძლიერეს მეტოქეს წარმოადგენდა ლიბერალური პარტია — ესეც სხვილი კაპიტალისტების წარმომადგენელია, დღეს კი ეს პარტია საცოდავ მდგომარეობაშია. მას ცალი ფეხი ოპოზიციაში უდგას და ცალი კონსერვატიულ ბანაკში. ის ოპოზიციონისტობს, როცა საქმე ეკლესიასა და სარწმუნოებას შეეხება, რადგან ამ შემთხვევაში ცოტათ კიდევ ახსოვს ძველი ლიბერალური ტრადიციები; მარა იმის და მიხედვით, როგორც იზდება და ძლიერდება მუშათა პარტია, იგი თანდათან ილესება კლერიკალურ-კონსერვატიულ პარტიაში. მუშათა პარტიას 94 წლამდის არც ერთი წარმომადგენელი არ ჰყავდა პარლამენტში. საარჩევნო უფლებაზე არსებობდა დიდი ქონებრივი ცენზი (42 ფრ. პირდაპირი გადასახადი), რისთვისაც მუშა ხალხი ფაქტიურათ გამორიცხული იყო ქვეყნის მართვა-გამგეობიდან. მეოთხმოცე წლების მეორე ნახევრიდან საარჩევნო უფლებათა მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოებლათ აღძრულ მუშათა ბრძოლამ, მრავალმა ამბოხებამ, მუშათა საერთო გაფიცვამ და სხვ. აიძულა მთავრობა მოეხდინა კონსტიტუციის რევ-ზ-ა და შემოეღო ახალი საარჩევნო უფლება. 93 წ. შემდეგ აქ არსებობს ერთგვარი საარჩევნო სისტემა, რომელსაც უძახიან vote plural. ამ სისტემით თითო ხმა ეძლევა ყველა 25 წ. მოქალაქეს, ქონებისა და კლასის განურჩევლათ; ერთი ზედმეტი ხმა ეძლევა: 1) 25 წლის მოქალაქეს, რომელიც ცოლიანი ანუ ქვრივია, მარა ჰყავს შვილები და იხდის 5 ფრ. პირდაპირ გადასახადს; 2) აგრეთვე 25 წ. მოქალაქეს, რომელსაც აქვს 2000 ფრ. ღირებულების უძრავი ქონება ანუ ღებულობს რომელიმე სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებიდან 100 ფრ. სარგებელს (ასეთი სარგებლისათვის კი საჭიროა 4000 დე ფრ. თანხა). ორი ზედ მეტი ხმა ეძლევა 25 წ. მოქალაქეს, რომელსაც მიუღია უმაღლესი ანუ საშუალო სასწავლებლის დიპლომი. ამ საარჩევნო რეფორმამ მართალია მუშა ხალხი არ გაუთანასწორა უფლებებით ბურჟუაზიას, მარა ეს მაინც დიდი გამარჯვება იყო. ამ რეფორმის მეოხებით მუშა-ხალხმა ფეხი შედგა პარლამენტში და მალე საკმაოთ გამაგრდა კიდეც. დღეს მუშათა პარტია ყველა ოპოზიციონურ პარტიებზე უფრო ძლიერია და უფრო საფრთხილოც კლერიკალებისთვის. 93 წ. გამარჯვების შემდეგ მუშათა პარტიას არამც თუ არ შეუწყვეტია საარჩევნო ბრძოლა, არამედ უფრო გამხნევებით და უფრო ენერგიულათ მოქმედებს საერთო საარჩევნო უფლების მოსაპოებლათ. ოპოზიციაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ აგრეთვე პროგრესისტებს.. ესენი წარმოადგენენ წვრილ ბურჟუაზიას, რომელიც მომწყვდეულა სხვილი კაპიტალის ბრჭყალებში და ძლივსღა იბრუნებს სულს. ამიტომ ეს პარტია მომხრეა ყველა დემოკრატიულ რეფორმების და მათშორის საერთო საარჩევნო უფლებისა. დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ ეგრეთ წოდებული ქრისტიანი დემოკრატები (démocrati-chretien), რომელთა მეთაურია აბბატი დანსი. ესენი არიან წვრილი მესაკუთრეთა, წვრილ ფერმერების ინტერესების გამომხატველნი. მოქმედებენ აგრარიულ პროვინციებში. ნიშანში ამოღებული ყავთ განსაკუთრებით მდიდარი კათოლიკები. ასწავლიან, რომ შრომასა და კაპიტალს შორის ანტაგონიზმი არ არსებობს, რომ საჭიროა მხოლოთ შემცირდეს არსებული, წრეს გადასული ექსპლოატაცია ღარიბი ხალხისა, რომელიც არ შეესაბამება ქრისტეს სწავლა-მოძღვრებასო. თავის პრაქტიკულ-მოთხოვნილებებში — როგორც არის მაგ. კანონის მიერ შრომის მფარველობა და საზოგადოთ შრომის პირობების გაუმჯობესობა — ესენი თითქმის ყოველთვის უერთდებიან მუშათა პარტიას. ასეთია კლერიკალების მოწინააღმდეგე პარტიები. ყველა ესენი, გარდა ლიბერალებისა, ერთათ მოქმედებენ საერთო, ყველასთვის თანასწორ, საარჩევნო უფლების და პროპორციონალური წარმომადგენლობის მოსაპოებლათ. ლიბერალები კმაყოფილდებიან უკანასკნელი მოთხოვნილებით (პროპ. წარმომ.).

მთავრობას არ შეეძლო უყურადღებოთ დაეტოვებინა ოპოზიციონური პარტიების მოქმედება, მით უმეტეს, რომ მომავალ წელს უნდა მოხდეს დეპუტატთა ახალი არჩევნები. და აი, რომ ერთის მხრით თავი მოელიბერალებინა, ოპოზიციის გული მოეგო და მეორე მხრით თავისი პარტიის დეპუტატთა რიცხვი თუ არ გაემრავლებინა, ხელ უხლებლათ მაინც შეენახა, მან შეამუშავა ოსტატური საარჩევნო კანონ-პროექტი. პროექტი აცხადებს მთავრობის სურვილს, შემოღებულ იქმნას პროპორციონალური წარმომადგენლობა. ამით ის რამდენადმეთ ვითომ კიდეც აკმაყოფილებს ოპოზიციის მოთხოვნილებას, მარა ნამდვილათ კი აკმაყოფილებს მხოლოთ თავის საკუთარ ინტერესებს. ეს პროექტი პროპორციონალურ წარმომადგენლობას ანიჭებს არა მთელ ბელგიას, არამედ მარტო რამდენსამე საარჩევნო ოლქს; სახელდობრ იმ ოლქებს, სადაც მთავრობა არ არის დარწმუნებული, რომ გაიმარჯვებს მომავალ არჩევნებზე, სადაც სამართლიანათ შიშობს, რომ შეერთებული ოპოზია დაამარცხებს იმის კანდიდატებს. გარდა ამისა, პროექტის მიერ დამახინჯებულია თვით წარმომადგენლობის პრინციპი. პროპორციონალური წარმომადგენლობა, რომელსაც თხოულობს ოპოზიცია, მდგომარეობს იმაში, რომ თვითოეული პარტია ირჩევს იმდენ დეპუტატს, რამდენიც შეესაბამება იმის საარჩევნო ხმების საერთო რიცხვს. ამისათვის ხდება ასეთი ოპერაცია: ამა თუ იმ საარჩევნო ოლქის საარჩევნო ხმების საერთო ჯამი იყოფება იმ ციფრზე, რომელიც აღნიშნავს ამ ოლქის ასარჩევ დეპუტატთა რიცხვს: ამ გაყოფის შემდეგ მიღებული ციფრი იწოდება quotient-ად. თვითოეული პარტია ირჩევს იმდენ დეპუტატს რამდენ quotient საც მიიღებს. თუ ამ განაწილების შემდეგ კიდევ დარჩება სადეპუტატო თავისუფალი ადგილი, იგი ეძლევა იმ პარტიას, რომელსაც მეტი ნაშთი დარჩება საარჩევნო ხმების საერთო რიცხვის quotient-ზე გაყოფის შემდეგ. სულ სხვა გვარია მთავრობის პროპორცია. პროექტი იძლევა თავისებურ quotient-ს რომელსაც ეძახის quorum-ს და მდგომარეობს იმაში, რომ საარჩევნო ხმების ჯამი იყოფება, ნაცვლათ ასარჩევ დეპუტატთა რიცხვისა, თავისუფლათ აღებულ ციფრზე, სახელდობრ, 6-ზე. ამგვარათ თვითოეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატის ასარჩევათ საჭირო ხდება უფრო მეტი ხმა, ხოლო ზედმეტი დეპუტატის ადგილი ეძლევა იმ პარტიას, რომელსაც საეროთ უფრო მეტი ხმა მიუღია. პროექტში ბევრია კიდევ ამ გვარი ხრიკები, რომელთა ანუსხვას აქ არ გამოვუდგებით. საინტერესოა მხოლოთ ის, თუ როგორის თავ-გამოდებით და პოლიტიკური ტაქტით ამხედრდენ მის წინაალმდეგ ოპოზიციონური პარტიები. ამათ შორის ხელმძღვანელი და თაოსანის როლი ეკუთვნის მუშათა პარტიას, რომელიც ერთობ ხერხიანათ სარგებლობს ამით, მუშა-ხალხის პოლიტიკურათ აღსაზრდელათ. პროექტის გამომჟღავნების უმალვე ოპოზიციონურმა პარტიებმა შეადგინეს კავშირი, სახელწოდებით ნაციონალური ლიგა. ამათი მიზანია აიძულონ მთავრობა — უკანვე წაიღოს თავისი პროექტი და გამოიწვიოს რადიკალური საარჩევნო ცვლილება, ე. ი. შემოღებულ იქმნას საერთო, ყველასათვის თანასწორი საარჩევნო უფლება (sufrage universel pur et simple), ე. ი. თვითოეულ მოქალაქეს, როგორც კაპიტალისტს, ისე პროლეტარს, მხოლოთ ერთი ხმა ჰქონდეს. ლიგა გზავნის ბელგიის ყველა კუთხეში აგიტატორებს, მართავს მრავალ მიტინგებს, კონფერენციებს, იწვევს ქუჩებში ხალხის მანიფესტაციას. ერთი ასეთი მანიფესტაცია მოხდა ბრიუსელში წარსულ 29 მაისს. ხალხს მცირეოდენი შეტაკება ჰქონდა პოლიციასთან, რომელიც არ უშვებდა კორტეჟს, რომ სამინისტროსა და მეფის სასახლის წინ მოეხდინათ მანიფესტაცია. რაკი ხალხი გაძალიანდა რამდენიმე პოლიციელმა ხმალი იძრო, რაზედაც ხალხმა ჯოხებით უპასუხა. შემდეგ პოლიცია წაეტანა წითელ დროშას, ვითომ წართმევა უნდოდა, მარა ხალხის ტალღამ უკუ აგდო პოლიცია. შეპყრობილ იქმნა რამდენიმე მანიფესტანტი, მათ შორის ორი მუშათა პარტიის ხელმძღვანელთაგანი (ვანდერველდი და ფურნემონი); მარა ამათ მხოლოთ ოქმი შეუდგინეს და მაშინვე გაათავისუფლეს, რადგან ესენი დეპუტატები არიან პარლამენტში და დეპუტატის პიროვნება კი, კონსტიტუციის ძალით ხელშეუხებელია. დანარჩენებიც მალე იქმნენ გათავისუფლებულნი.

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ, რომ პარლამენტისა და სენატის მემარცხენე (ოპოზიციონურ) დეპუტატებმა შეჰკრეს შემდეგი პირობა: 1) მოთხოვონ მთავრობას გადადებულ იქმნას პროექტის განხილვა პარლამენტში რამდენისამე ხნით და ამ დროის განმავლობაში შემუშავდეს ახალი საარჩევნო კანონპროექტი, რომელიც „უნდა შეესაბამებოდეს მოქალაქეთა პოლიტიკურ თანასწორებას და საერთო იყოს მთელი ქვეყნისათვის“; 2) უკეთუ მთავრობა არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას, არც ერთი მემარცხენე დეპუტატი არ მიიღებს მონაწილეობას პროექტის განხილვაში და მიმართავენ ხალხს.[1])

ქ. ბრიუსელი. დ. დ.

ჭ ლ ე ქ ი.

არის ერთი ავათმყოფობა, რომელსაც ხშირათ „პროლეტართა ავათმყოფობას“ უწოდებენ, ეს არის ჭლექი. ამ სახელწოდების მიზეზი ის არის, რომ მცხოვრებთა ულატაკესი ნაწილი, და ამათში განსაკუთრებით სამრეწველო მუშა ხალხი, უფრო ხშირათ ხდება ამ სენით ავათ. ეს იცოდენ დღემდის უბრალო დაკვირებით, ხოლო დღეს კი ეს დამტკიცებულია სტატისტიკურათ. უკანასკნელი ცნობები, გერმანიის სახემწიფო დამზღვევ დაწესებულების მიერ გამოქვეყნებული, გვიჩვენებენ ნათლათ, თუ რამდენათ გავერცელებულია ჭლექი და ფილტვების სხვა ავათმყოფობა მუშათა შორის. აი ციფრები: ათას დაზღვეულ მუშათა შორის ჭლექით არის ავათ 122 მამა-კაცი და 76 დედა-კაცი, ხოლო ფილტვის სხვა ავათმყოფობით 205 მამ. და 124 დედაკაცი. ფილტვის ავათმყოფობათა შორის პირველი ალაგი უჭირავს ჭლექს, ხოლო ხელობათა შორის ეს სენი ყველაზე უფრო ეტანება მთა-მადნების წარმოებას, მრეწველობას და ხუროთ-მოძღვრებას. განსაკუთრებით, თუ ამ დარგთ შევადარებთ სამიწათ-მოქმედო და სატყეო წარმოებას, დავინახავთ, რომ პირველნი დიდათ ავითარებენ და ავრცელებენ ჭლექს. მაგ. მაშინ, როდესაც სასოფლო-სამეურნეო დარგნი დაზიანებულთა 6,5 პროც. მამრ. და 4,6 პროც. მდედრ. ჭლექიანთ იძლევიან, მრეწველობა 17 პროც. მამრ. და 14,9 პრ. მდედრ. იძლევა. ამასთანავე, ჭლექი საშიშარია ახალგაზდებისათვის, ხანში შესულთათვის კი იმდენათ არა. ჭლექიანთა თითქმის ნახევარი მამა-კაცთა შორის მოდის 20—24 წლების ასაკში (47,7 პრ.), დედაკაცთა შორის ამავე ასაკში მხოლოთ ერთი მესამედი (36,8 პრ.); 25—29 წ.წ. 30,77 პროც., 65—69 წ.წ. კი 1,2 პრ. აი ეს სინამდვილე, რაიცა პირველათ დამტკიცდა ციფრებით, გვიჩვენებს გზა-კვალს ჭლექთან საბრძოლველათ. აქედან ხომ აშკარაა, რომ ეს სენი ანადგურებს განსაკუთრებით სამრეწველო დარგებში მომუშავე ხალხს.

---

[1]) დეპეშებმა გვამცნეს რომ ხალხს უკვე მიმართეს და ხალხმაც არ დაიგვიანა მიშველება, მან მოახდინა მანიფესტაციები, რამაც სისხლის ღვრაც გამოიწვია. ამან იმოქმედა მთავრობაზე და კანონპროექტი კომისიას გადასცეს, რაიცა მის უკან წაღებას ნიშნავს. რედ.

აი ამ ჟამათ, ბერლინში თავმოყრილია კონგრესი — ქლექის კონგრესი, როგორც მას მოკლეთ უწოდებენ, რომლის მიზანია ქლექის წინააღმდეგ სხვა-და-სხვა საშუალების გამონახვა. დიდათ გასახარელია ის, რომ კონგრესში მონაწილეობას იღებს ყველა წრის და კლასის ხალხი და ეს იმედს გვაძლევს მის ნაყოფიერებისას, თუ კი, რასაკვირველია, ამ სენის სოციალურ მიზეზს უყურადღებოთ არ დატოვებენ. თავის თავათ ცხადია, ის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით იმ ქლექის სამკურნალოებს, სადაც ღარიბ, უსაშუალო ავათმყოფს შეუძლია შესვლა და წამლობა, მარა ამასთანავე ღონისძიება უნდა იქნას მიღებული, რომ მის უმწეოთ დარჩენილ ოჯახს დახმარება აღმოუჩინოს. აგრეთვე არა ნაკლებ საჭიროა ჰიგიენური ზომები და სხ. მაგრამ ყველა ამ მედიცინურ საშუალებებს შეუძლია მხოლოთ ქლექიანთა მეტათ მცირე ნაწილს მოუტანოს სარგებლობა, რადგანაც შეუძლებელია რამდენ-მე ასი ათასი ქლექიანების სამკურნალოებში მოთავსება. ქლექის წინააღმდეგ ბრძოლა მაშინ იქნება ნაყოფიერი, როცა მისი გაჩენის მიზეზს ფეხიდან გამოვაცლით, ხოლო ეს მიზეზი კი სოციალურ პირობებში იმალება. უბრალო შემთხვევა კი არ არის, რომ ეს სენი ღატაკების, და განსაკუთრებით სამრეწველო მუშების სენია; ცუდი საჭმელ-სასმელი, ცუდი ბინა, ცუდი სამუშაო პირობები — ეს და სხვა მრავალი შეადგენენ ნიადაგს, რომელზედაც ქლექი აღმოცენდება. მაშასადამე, გაუმჯობესება საჭმელ-სასმელის, ბინის, სამუშაო ადგილების ჰიგიენურათ მოწყობა და სხ. აი, რით შეიძლება ქლექთან ბრძოლა. ბ. გემჰარდმა, ლიუბეკიდან, ერთი საინტერესო სტატისტიკა წარუდგინა კონგრესს. აქედან ვტყობულობთ იმას, თუ რა შეძლების ხალხს, როგორ ედება ქლექი. ციფრები შეეხება მხოლოთ ქ. ჰამბურგს. თანახმათ ამისა, 1000 გადამხდელზე, თითოს 3,500 მარკაზე[1]) მეტის შემოსავლით, მოდის ქლექით სიკვდილი 1,

„	„	2,000—3,500	მარკ. შემოსავლ.		2,
„	„	1,200—2,000	„	„	$2^1/_2$
„	„	900—1,200	„	„	4,

ვისაც 900 მარკას ქვევით შემოუდის, გადასახადს არ ახდევინებენ და მათ შესახებ ცნობაც აღარ არის; მარა აქ ათასზე 5 ქლექით სიკვდილი მაინც უნდა ვიანგარიშოთ. ათი-ათას გადამხდელზე, რომელთაც ორი-ათას მარკაზე მეტი შემოსავალი აქვთ, მოდის 15 ქლექით გარდაცვლილი, ხოლო გადამხდელთა იმავე რიცხვზე, მარა ნაკლებ შემოსავლიანობაზე — 2,000 მარკაზე ნაკლები — მოდის 40 ქლექით გადაცვლილი. ამ ცნობებიდან ბ. გემჰარდს შემდეგ სამართლიან დასკვნა გამოჰყავს: „მუშა-ხალხის ცხოვრების თვითოეული გაუმჯობესება არის იმავე დროს ქლექის საბრძანებლის შევიწროება“... („Frankfurter Zeitung“).

1) ერთი მარკა უდრის 9 შაურს.

ბ ე ბ ე რ ი.

(ტურგენევიდან.)

მივდიოდი მარტო დიდ თვალ გაუწვდენელ მინდორზე.

უცბათ მომესმა ზურგს უკან სუბუქი ფრთხილი ფეხის ხმა... ვიღაც მამდევდა ფეხდაფეხ.

მივიხედე და ვნახე პატარა მოკუზული ბებერი დედაკაცი-ნაცრის ფერ ძონძებში გახვეული. გაყვითლებული, დანაოჭებული, უკბილო სახე და წვეტიანი ცხვირი ოდნავ უჩანდა...

მივუბრუნდი... იგიც შედგა.

— ვინა ხარ! რა გინდა ჩემგან? მათხოვარი ხარ? მოწყალებას ითხოვ?

ბებერმა პასუხი არ გამცა. დავაცქერდი და შევამჩნიე, რომ ორივ თვალებზე თეთრი გადათვარებული ჰქონდა ისე, როგორც ზოგჯერ ფრინველებს აქვთ, რომ მჭის შუქისაგან დაიფარონ თვალის სინათლე.

მაგრამ ბებერს დროებით კი არ ჰქონდა თვალებზე გადაფარებული, — ის ბრმა იყო, ბისტი ჰქონდა თვალებზე.

— მოწყალებას ითხოვ? გავიმეორე მე. — რათ მომდევ ფეხდაფეხ?

ბებერმა აღრინდელივით არ გამცა ხმა, ხოლო ცოტათი მოიკუნტა.

ზურგი შევაქციე და გავსწიე ჩემ გზაზე.

კიდევ მომესმა ისევ ის სუბუქი, წყნარი ფეხის ხმა, თითქო მეპარებოდა ვინმე.

— კიდევ ის დედაკაცია! გავიფიქრე მე, — რას ჩამაცივდა, რა უნდა ჩემგან? — მერე ამ აზრმა გამირბინა თავში: უსათუოთ ბრმა რომ არის გზა დაუკარგავს, ახლა ჩემ ფეხის ხმაზე მოდის, რომ ჩემთან ერთათ მივიდეს სადმე სოფელში. დიახ, სწორეთ ასე უნდა იყოს.

ჩემდა უნებლიეთ მოუსვენარმა, უცნაურმა ფიქრებმა შემიპყრეს: მომეჩვენა, რომ ეს ბებერი მე კი არ მომდევს, თითონ მე მივყევარ საითაც სურს, ხან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვნივ მიმახეთქებს და ხან მარცხნივ და მეც ჩემდა უნებურათ ვემორჩილები.

მე მაინც მივდივარ... აი, ჩემ წინ, ზედ გზაზე, რალაც შავი მოჩანს, თანდათან დიდდება.. რალაც უფსკრულია... სამარე! გამიელვა თავში.—აი, საითკენ მივყევარ"!

უცბათ მოეტრიალდი, ბებერი პირისპირ დამიდგა... მაგრამ ის ხედავს! იგი მიყურებს მე დიდროანი, ავი და ბოროტი თვალებით... ნამდვილ მტაცებელ ფრინველს მიუგავს თვალები... მივუახლოვდი მის სახეს, დავაცქერდი მის თვალებს... ისევ ისე თეთრი გადაფარებული, ისევ ის ბრმა და უსიცოცხლო შეხედულობა...

„ახ! ვიფიქრე მე... ეს ბებერი ჩემი ბედი ყოფილა, ის ბედი, რომელსაც კაცი ვერ წაუვა!"

„ვერ წაუვა! ვერ წაუვა!—რა სისულელეა... უნდა ვეცადო", და მე გავსწიე მეორე მხარეს, სხვა გზაზე.

მივდივარ მარდათ... მესმის ადრინდელივით სუბუქი ფეხის ხმა, სულ ახლო, ახლო ჩემგან... ჩემ წინ კიდევ მოჩანს ჩამაევებული ორმო.

ახლა მეორე მხარეს შევბრუნდი.. ზურგს უკან ისევ ის შრიალი, თვალ წინ ისევ ის საზარელი შავი წერტილი.

საითაც უნდა ვაწყვიტო თავი დამფრთხალ კურდღელსავით ისევ იგი სურათი და იგი!

— დაიცა! გავიფიქრე მე—ერთი მოვატყუო ის! არ სად არ წავალ ჯიბრზე! და ერთ წამს ჩავჯექ მიწაზე

ბებერი შედგა ორ ნაბიჯზე მოშორებით ჩემგან. არ ვხედავ, არ მესმის, მაგრამ ვგრძნობ იმის ყოფნას ჩემთან.

ერთბაშათ დავინახე რომ ის წერტილი, რომელიც შავათ მოჩანდა, მოკურავს, მიახლოვდება, თავისით.

ღმერთო დიდებულო! მივიხედე უკან, ბებერი პირდაპირ ისევ თვალებში შემომცქეროდა. უცბილო პირი დაცინვით მოგრეხოდა:

— ვერ წაუხვალ ბედს! გაისმა ჩემ ყურებში

წერილები რედაქციის მიმართ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲕᲚᲘᲡ" № 20-ის „ᲙᲘᲠᲘᲓᲐᲜ-ᲙᲘᲠᲘᲗᲐᲜᲘᲡ" შესახებ ოზურგეთის სხვა-დასხვა დწესებულებათა მოხელეებს ბრალდებოდათ „პარტიების" შედგენა, „მოსულებათ" და „გურულებათ", დაეთვა, საზოგადოებაში განსეთქილების შეტანა და სხ. „ᲙᲕᲚᲘᲡ" № 22-ში კი დაბეჭდილია ზოგიერთ მოხელეთაგან მოწერილი წერილი, მოხსენებული შენიშვნის გასასწორებლათ და იქაკი თქვენი შენიშვნაც, რომლითაც ეოკელივე ბრალი ედებათ მხოლოთ სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებს საზოგადოო. უნდა მოგახსენოთ, რომ აქაც ისეთივე შეცდომაა, როგორიც პირველ შემთხვევაში იყო. რადგან ეველა მასწავლებლები არ არიან ამ სამარცხვინო საქმის მონაწილე და დღეს-კი ეველას ჩრდილი აქვს მიყენებული თქვენი შენიშვნით, ამისთვის, კარგი იქნება გამოაცხადოთ იმისი ვინაობა, ვის ცოხურგეთიდან მოწერილი წერილი შეესება. საზოგადოთ კი სასურველი იყო, რომ ამ საქმეს სარო თავქცეს ნათელი მოჭეროდა და დაფარული არ დარჩენილიყო.

სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელნი: გიორგი მარგალიტაძე, მელიტონ ქავკარაძე, ავქსენტი მეგრელიძე. [1])

—

„ᲙᲕᲚᲘᲡ" მე-24 ნომერში, სხვათა შორის წავიკითხეთ. ᲒᲐᲜᲯᲘᲓᲐᲜ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲪᲔᲡᲘ, რომელიც სხვათა შორის მეც შემესება და ამბობს: ბ. გენერალის და ეიფიანის მოუსვლელობით წარმოდგენა დაიშალა. ჩემი სამართლის ასადგენათ პატივი მაქვს გადმოვცეთ შემდეგი: ჩემთან ერთად შემოვიდა „ᲙᲘᲜᲢᲝᲠᲨᲘ" ბ. ს. დოლიძე მე და ბ. სიმონ ᲒᲚᲣᲜᲓᲐᲫᲔ ᲒᲐᲒᲕᲘᲡᲛᲝ ᲪᲚᲔᲚᲘ და გვითხრა: 11 საათზე წარმოდგენის ოთახზე გვექნა მოლაპარაკება და ბ. ს ეაზბეგის სახლში შემოდითო. მეც 11-საათზე მივედი ბ ეაზბეგის სახლში, სადაც დავხვდენ სხვათა შორის ბბ. ერ. გენერალი ს. დოლიძე ო. ᲨᲐᲩᲐᲕᲔᲚᲘ და სხვა...

შესვლისთანავე მითხრეს: აბა მოგვიდე წიგნს სელი, რეპეტიცია გავმართოთ, სვალ უსათუოთ წარმოდგენა გვექნება. ამაზე მე არ დავთანხმდი და ვუპასუხე: კაცო, რას ამბობთ, სადილის ᲬᲣᲛᲐ ს

მ არ გორნიათ წარმოდგენის გამართვა მეთქი, ჯერ პიესის ძინაარსიც არ ვიცი და ერთი რეპეტიციით გსურთ წარმოდგენის გამოცხობა მეთქი, ამითი თქვენ სხმ უფრო შეაძულებთ საზოგადოებას წარმოდგენაზე დასწრებას და სხ. ამ მოსაზრებით რეპეტიციაზე აღარ მივედი, რადგანაც ვიცოდი ასე მოკლე დროში ვერას გაკეთებოდით და ნუ თუ ამისათვის საეკვდერის ღირსი ვარ?

სად. ᲒᲐᲜᲯᲐ. ᲕᲐᲠ ᲔᲘᲤᲘᲐᲜᲘ.

---

[1]) რადგანაც ამ საგნის გამორკვევა შეუძლებელი ხდება, რის მიზეზი ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ამიტომ აღარც იმ პირს ვასახელებთ, ვისაც წერილი მეკუთვნოდა. ვიტყვით მხოლოთ, რომ ის არც ერთი თქვენგანს არ მეკუთვნება. რედ.

—

ქ—ნო რ—ო! გთხოვთ ამ სტრიქონებს ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ს.ამვიბეულს ზავოდის შესახებ. სიმართლის გამოსარკვევად. ბ-ნ ატ—ტას ჯიდევ გამოულაშქრია ჩემ წინააღმდეგ და ხელს ამაგრებს ზავოდს. ბ-ნო ატ—ტო უნდა გამოგიტუდეთ, რომ თქვენი წერილი ეოველსავე საბუთს მოკლებულია. ამას ახლავე დაგიმტკიცებთ; თუმცა მე ზავოდის საქმეებს თვალეურს ვადევნებ გულუთიდან, როგორც თქვენა ბრძანებთ, მაგრამ თქვენზე უკეთ კი მცოდნია ეს საქმეები. და აი როგორ: 1) ქვრივი შ. აქვანიას ადგილი არავის უქირავებია და შარშან მაზე სიმინდი იყო დათესილი. თქვენ კი, ბ. ატ—ტო, ნებსით, თუ უნებლიეთ, შკვაკვა აქვანიასი კასილ აქვანიათ გადაგიქცევია: ამ უკანასკნელის ადგილი იქირავა ხუთ თუმნათ წელიწადში ზავოდმა. თუ ამაში მე არ დამერწმუნებით, ჴკითხეთ ბ. კარამურზას, ან დავთარში ჩაიხედეთ და შეიტყობთ, რომ ჩემი ნათქვამი მართალია; 2) როგორც მთელმა საზოგადოებამ, ისე ამ. და ბ. ყვანიებმა მიჴმართეს ბ. ყოლეგვესს შემდეგი თხოვნით: თქვენი მუშებისაგან დაიფარეთ ჩვენი ყანა-ვენახები, რის მასუხათაც მიიღეს შემდეგი კლასიკური რჩევა: „кого увидите ворующимъ ваше добро, убивайте ихъ; я тутъ причемъ“-ო! ამისთანა შესანიშნავმა რჩევამ მთავრობის ეურამდეც მიაღწია, და მიეგეარს, თქვენ არ გაგიგონიათ! აქ ქართველ მუშათა სასასელოთ უნდა შეგნიშნო, რომ მათ ამისთანა ეწეს-რიგობაში წილი არ ედვსთ. 3) რაც შეეხება სახნავ-სათეს-საძოვარ მიწებს, ამის შესახებ საზოგადოებამ წელიწადზე მეტია, რაც საჩივარი შეიტანა, სადაც, ჯერ იყო, და ჩემი რა ბრალია, რომ თქვენ ვერ შეგიტყვიათ! თუ თქვენ გასულ აპრილის 10 ს ზავოდში იყავით, გეცოდინებათ, რომ კოდორის და გუმისთის ნაწილების უფროსები ინჟენერით და სოფ. ვლადიმიროვკის კეთილ სინდისიერებით იყვენ ჩამოსულნი სწორეთ თქვენგან უარეოფილის საჩივარის გამო. მხოლოთ საქმე კი ვერარ მოარიგეს რადგანაც ტემა-ტუეშმ ხელი შეუშალათ!.. შარშან შემოდგომაზე ზავოდის უფროსი ბ. ყოლეგესი ერთი კორესპონდენციის საბასუხოთ წერდა Н. Обозрѣніе“-ში შემდეგს: „дѣйствительно жалоба существуетъ, и производится дознаніе, но мы оспариваемъ“-ო. 4) კარგო კაცთა ზარალი ბ. ყოლეგესმა თქვენსავით უარი ვერარ ჴეოდ, მხოლოთ ამბობს: „сильно преувеличено“-ო! ხომ ეოფილა საქმე საჩივარში? აწ მაინც, ვეონებ, მე არ დამჭირდება ათასაზების შეკითხვა, რადგანაც თვითონ თქვენი უფროსი მეოწმეა! 5) წისქვილის პატრონთ ზავოდმა მისცა 450 მ. (და არა 750 მ., როგორც თქვენა წერთ) და, თუ თავის თავს დამნაშავეთ არ ცნობდა ზავოდი, რათ მისცემდა. ამაში თქვენც, თქვენდა უნებლიეთ მეოწმებით, რაცა ამბობთ ამის შესახებ: მისცა იმიტომო, „რადგანაც ზავოდი ნება-ეოფლობით იხდის თავისს მოვალეობასო!“ მხოლოთ ეს კი ამიხსენით: რა ღირს იმისთანა წისქვილი, რომელიც წელიწადში პატრონებს აძლევს ათას ხუთას ფუთ სიმინდს? თუთი სიმინდი ორ-ორ აბაზად რომ გაიანგარიშოთ, წელიწადში მისცემს არა ნაკლებ 600 მ. შემოსავალს. ამისთანა სარგებლიანი ქონებას 450 მ. იეიდი? ვეჭვობ. საზოგადოებაც ამ წისქვილის დაკარგვით ზარალშია, რადგანაც კ. მარდანიასი და განაშიას წისქვილიდან ეს იეო მეოთხე ვერსტზე. სოფელი ათარა კი ამ წისქვილს ზეკით 10—11 ვერსტზეა გაშენებული, და ამიტომ მეორე წისქვილით სარგებლობა ათარელებს ძალიან უჭირთ! ამ წისქვილის გამო საჩივარი იეო, თუ არა, ისევ ბ. ყოლეგესს მიჴმართეთ და ის დაგაჯერებთ, ან წაიკითხეთ მისი ზემორე ხსენებული საბ:ასუხო წერილი და იქ შეიტყობთ. 5) რაც შეეხება იმას, რომ ქობლუსის ოჯახობა თვითონ იპარავს თავის ეურქენს და სხვისას „ახლათ აღორძინებულის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ და ჴეიდის ოჯახის უფროსის ეტ-ინარათ, ამაში მართალი ხართ!! მხოლოთ ნება მიბოძეთ ჩემთ გიოხრათ: საწყალს ქობლუსს აგერ ათი წელიწადია არავითარი ოჯახობა არა აბადია,—არც ცოლ-შვილი ჴეავს, არც დედ-მამა, და ძმა და სხვა ვინმე! საიქიოდან თუ დაიწყეს ქურდობა, იმისი რა მოგახსენოთ: 6) გვ. დოხუებმა 300 მ. აიღეს სამოცქმეტკვაზე (60 ქ.) მეტ შვენიერ სახნავ-სათეს მიწაში, რომელიც ზავოდის წყალობით წყალმა წაართვა. და აი როგორ: კოდორში ზავოდი დაარსდა თუ არა, წყალს კალაპოტი გამოუცვალეს და სოფელ ამვიბეისკენ მისცეს მიმართულება, რისგამოც მდ. კოდორმა საზოგადოებას ზარალი მისცა. მაშინ მთავრობასთან იჩივლა საზოგადოებამ, და ამ უკანასკნელმა უბძანა, ზავოდისთვის გაეკეთებინათ დამბები და წყალი ამ სოფლებისკენ შეაჩერებინებინა. პირველთ სადაც ნაჩვენები იეო, იქ გააკეთეს დამბები, მარა 1898 წ. კვირიკობის თვეში (ივლისში) ზავოდმა დღისით დასწყო უმთავრესი დამბა, ორას თუმანზე მეტათ ღირებული, რის შემდეგაც წყალმა თავრეშობა დაიწყო და ამდენი ზარალი მისცა საზოგადოებას.

კმარა, მაგრამ არა. ის რომელი სამკალიითო ზავოდია, რომლის მმართველნიც დასეოგნებულნი არიან ტემა-ტუეშში? გაიხსენეთ ბ. თ—ლის კალასკა და 10 აპრილს მუშტა-კრივი. ან და სამკალიითო ზავოდს უნდა უნიოდეს საზოგადოება, რომ მუშებმა ფესის ადგილის უქონლობით ტუე-ველი გაგვამურალესო და სხვა? ნუ თუ ეეიტი ათასაზი ასეთ სამართლიან შენიშვნებს უნდა აძლევდეს განათლებულ ეროპიელს? მოწმები ამისა გინდათ? იხილეთ: კოდორის ნაწილის უფროსი და ბ. ხვარცკია. [1])

ჯანიკო.

---

[1]) რადგანაც საკანი ორიკე მხრიდან საკმათ გამორკვეულია, ამიტომ ვსბეჭდით ამაზე ბასსს. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 26 Іюня 1899 г. Тип. Т. М. Рогиніянца—სტამბა ტ. მ. როტინიანცისა. Год. пр. д. № 41.